პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 165 (6220)

23 1978 წ. აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გამარჯვება რესპუბლიკის ახალი რეკორდით

პოდოლსკში გამართულ საკავშირო შეჯიბრება „მტყორცნელის დღეზე“ შესანიშნავად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის ბადროს მტყორცნელი ს. გუნბა. საქართველოს ახალი რეკორდით — 59 მ 58 სმ მან უკან ჩამოიტოვა ქვეყნის უძლიერესი მტყორცნელი ქალები და პირველი ადგილი დაიკავა.

## ვახტანგ ბლაგიძის მორიგი გამარჯვება

### ჭიდაობა

მეხიკო, 22 აგვისტო (საკდეს). მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე კარგად გამოდიან საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდავეები. მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს [...]ეველმა ალექსანდრე კოლჩინსკიმ (100 კგ-ზე ზევით), მოსკოველმა [...]ფ ნიფტულაევმა (74), ალმაათელმა შამილ სერიკოვმა (57), [...]ასნოიარსკელმა ალექსეი შუმაკოვმა (48), მოსკოველმა ალექსანდრე ალიევმა (68), როსტოველმა ბორის კრამარენკომ (62), თბილისელმა ვახტანგ ბლაგიძემ (52), ბაქოელმა ვიქტორ ავდიშევმა (90) და მოსკოველმა ნიკოლოზ ბალბოშინმა (100). ჩემპიონატზე წარმატებით გამოდიან, აგრეთვე, რუმინელი (მათ ჯერჯერობით ერთი დამარცხება აქვთ) და ბულგარელი ფალავნები.

## „თოლია“, „დილა“ — ნახევარფინალში

ომსკში დამთავრდა „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე უფროსი ასაკის (14-15 წელი) ფეხბურთელთა ტურნირის წინასწარი თამაშები. წარმატებით იასპარეზა თბილისის №10 საშუალო სკოლის გუნდმა „თოლიამ“ (მწვრთნელები ვ. მელაშვილი და მ. ანთიძე), რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა ქვეჯგუფში ბურთების საუკეთესო სხვაობით 14-0. ახლა „თოლია“ ნახევარფინალში დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შეხვდება. მეორე ფინალურ წყვილს შეადგენენ მოსკოვის „სპარტაკი“ და უზბეკეთის ქალაქ კარშის „ხასარი“. ამ ორ მატჩში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში, რომელიც გამოავლენს ჩემპიონს.

ზაპოროჟიეში უმცროსი ასაკის (10-11 წელი) ტურნირში აგრეთვე გამოვლინდა ფინალური ოთხეული. გადამწყვეტ მატჩებში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებს თბილისის „დილაც“ (მწვრთნელები ო. გაგუა[...]რი და ლ. ლონდაძე). პირველობას მას შეეცილებიან ერევნის „ლუსამო“, აზერბაიჯანის „ხაზარი“ და მაგნიტოგორსკის „პლამია“.

## მეორე პარტია

21 აგვისტოს ბიჭვინთაში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მეორე პარტია.

მეტოქეებმა უნგრული პარტია გაითამაშეს. თავიდანვე შეიმჩნეოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი რთული თამაშისკენ მიილტვოდნენ. გაფრინდაშვილი ღრმა მანევრებით იერიშს ამზადებდა მეფის ფრთაზე. ჩიბურდანიძე ფხიზლად ადევნებდა თვალს მეტოქის ფიგურების გადაჯგუფებას, არ მიიღო მხედრის შეწირვა, და მეფის მისადგომები გაამაგრა.

რთულ პოზიციაში მსოფლიო ჩემპიონმა სვლების გამეორება დაიწყო, ალბათ, დროის მოსაგებად. [...]ჯერ აჰყვა მას, მერე თავი არიდა და ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა.

გაფრინდაშვილმა განაგრძო შეტევა შავ მეფეზე, მანამდე კი ეტლები გაცვალა. პრეტენდენტმა წინდახედული მანევრებით თავისი მეფე გამოიყვანა სახიფათო ზონიდან. პარტია შეწყდა მწვავე პოზიციაში. მსოფლიო ჩემპიონმა ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა.

### გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე

უნგრული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კe7 4. d3 მf6 5. კb3 d5 6. მbd2 0-0 7. 0-0 de 8. de კc5 9. c3 ლe7 10. კc2 a5 11. მh4 g6 12. მb3 კb6 13. ლf3 კg4 14. ლg3 ლe6 15. მf5 მფh8 16. მh6 კe2 17. ეe1 მh5 18. ლh4 კa6 19. მd2 f6 20. მf1 ეad8 21. მg3 მg7 22. მf1 მh5 23. მg3 მg7 24. მf1 მb8 25. კe3 მd7 26. კ:b6 მ:b6 27. მe3 a4 28. f4 ef 29. ლ:f4 ეd7 30. ეed1 ეfd8 31. ე:d7 ე:d7 32. ეd1 მh5 33. ლf2 მფg7 34. g4 მფ:h6 35. gh მფg7 36. ლf4 c6 37. ე:d7+ მ:d7 38. კ:a4 ლ:a2 39. h6+ მფf7 40. ლd6 მფe8. პარტია გადაიდო.

* * *

გუშინ, თამაშის განახლებისას, 52-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1:1.

## სოფლის სპორტსმენთა დიდი ფორუმი

- მასპინძლობს მოლდავეთის დედაქალაქი
- ქართველი სპორტსმენების „ოქრო“ და „ბრინჯაო“

ეს დღეები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ფართო ფრონტით მიმდინარეობს პურეულის მოსავლის აღება. დამკვრელური შრომაა გაჩაღებული ყველგან, ყველა უბანზე. წარმატებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები.

სოფლის სპორტსმენებისთვისაც დადგა „მოსავლის აღების“ დრო — ფინიშის სწორზე გავიდა III საკავშირო საზაფხულო სასოფლო-სპორტული თამაშები, რომელიც ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

სოფლის სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმის მონაწილეებს მიმართვა გაუგზავნეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო სპორტკომიტეტმა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭომ. მიმართვაში ნათქვამია, რომ III საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშები ტარდება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისთვის.

ფინალურ სტარტებს წინ უძღოდა მასობრივი შეჯიბრებები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. სტარტზე გამოვიდა 15 მილიონზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, მათგან 3,5 მილიონი გახდა მშს ნიშნოსანი.

ეჭვგარეშეა, რომ III საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშები ხელს შეუწყობს სოფლად სპორტის საზაფხულო სახეობების შემდგომ განვითარებას, გამოავლენს ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში დაიკავებენ ადგილს და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ.

კვირას, 20 აგვისტოს მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა III საკავშირო საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრება. ასპარეზობის მონაწილეებს მიესალმა თამაშების მთავარი მსაჯი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, მარშალი ვ. ჩუიკოვი. სოფლის სპორტსმენებს წარმატებები და მაღალი სპორტული შედეგები უსურვა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

იმავე დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ მძლეოსნები, ძიუდოისტები, ველოსიპედისტები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. შეჯიბრებები ტარდება მოლდავეთის სხვადასხვა ქალაქში. ბენდერში ასპარეზობენ ძალოსნები, ბელცში დასასრულს უახლოვდება ფეხბურთელთა ტურნირი, ტირასპოლში კი — ხელბურთელთა და ფრენბურთელთა შეჯიბრება. მაგრამ თამაშების ცენტრი, რა თქმა უნდა, კიშინიოვია. აქ გამართულ ძიუდოისტთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ს. მურაშვილი. მან 95 კგ წონით კატეგორიაში თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. გამოვლინდა გამარჯვებული მძიმეწონოსანთა შორისაც. აქ უძლიერესი იყო ვ. კარლეთიანი („კოლხოზნიკული“, მოლდავეთი).

პირველი გამარჯვებულები გამოვლინდნენ ძალოსანთა ასპარეზობაშიც. ქართველ სპორტსმენთაგან ჯერჯერობით ერთმა მოიპოვა მედალი. ესაა ა. პიტაძე, რომელმაც 75 კგ წონით კატეგორიაში ორჭიდში 305 კილოგრამი მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით წინ არიან რსფსრ-ს სპორტსმენები — 7454 ქულა. შემდეგ მოდიან უკრაინისა (6100) და ბელორუსიის (5060) გუნდები.



სურათებზე: ბიჭვინთის საკურორტო დარბაზი, სადაც გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძის მატჩი მიმდინარეობს; მატჩის მსაჯთა კოლეგია: (მარცხნიდან) მსაჯი-მდივანი, საერთაშორისო არბიტრი ე. პეკარსკაია (მოსკოვი), მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ი. შაიტარი (ჩეხოსლოვაკია), მთავარი მსაჯის მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი ლ. აბრამოვი (მოსკოვი); მაყურებელთა დარბაზში შვეციაში მცხოვრები ქართველი მოჭადრაკე საერთაშორისო ოსტატი კ. კაიშაური; ნანა იოსელიანი თავის მწვრთნელთან ოსტატ ე. უბილავასთან ერთად.

შ. კოტორაშვილის ფოტოები.







**„ყველგან მასობრივი ხასიათი უნდა მივანიჭოთ ხალხურ სახეობათა სპორტის დანერგვას".**

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მასალებიდან

# ღრმა ფესვები

**ოცდაათიან**, ორმოციან წლებში იმ სახელოვან ფალავანთა შორის, ვინც თბილისის გარეუბნებში მოწყობილ პრიმიტიულ ნახერხმოყრილ მოედნებზე და ესიკოვის ცირკში (ელბაქიძის დაღმართზე) ასპარეზობდნენ, ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ შალიკო რჩეულიშვილი (ჩიქინა) — (1928 წლის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი), არჩილ დურგლიშვილი, ვასო ქარუმიძე, ამბროსი გაგნიძე, ირაკლი მარგველაშვილი, პავლე კობაიძე (კომბალა), მიტო ყურაშვილი (მოდი მნახე), შამილა ჯიჯიაშვილი, შალიკო გზირიშვილი, მიშა ყუშიტაშვილი, სანდრო ნაკაშაშვილი (ცაცალა), ნათელაშვილი, ცინცაბაძე, ზერეკიძე, დიასამიძე, ნიკოლოზ (პოხრო) პაპიაშვილი, მიხეილ ბერელაშვილი და მრავალი სხვანი.

ეს ფალავნები შესანიშნავად ფლობდნენ ქართული ჭიდაობის ილეთების მთელ არსენალს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ცალკეული ფანდების უბადლო დიდოსტატადაც ითვლებოდა. შესანიშნავად ასრულებდნენ ზეზელა კისრულს არჩილ დურგლიშვილი და ვასო ქარუმიძე, მოგვერდს — შალიკო რჩეულიშვილი, შამილა ჯიჯიაშვილი და მიშა ყუშიტაშვილი, ჩოქელა კისრულს — ამბროსი გაგნიძე, ზეზელა კისრულს მოტაცებით — ნიკოლოზ პაპიაშვილი, გვერდითი მოძრაობისას გარე გადაკრულ სარმასა და მოგვერდსარმას — მიტო ყურაშვილი და სხვები... ამ მოჭიდავეებს კარგად ჰქონდათ დაყენებული სუნთქვა — შეეძლოთ დიდი დატვირთვის ატანა, სწრაფ ტემპში ჭიდაობა რამდენიმე წუთის განმავლობაში. ასპარეზობისას ისინი იყენებდნენ შემტევი და კომბინაციური ფანდების მრავალ ვარიანტს და მოგერიებით ან კონტრფანდების ჩატარებისას ავლენდნენ დიდ საზრიანობასა და სწრაფი რეაგირების უნარს. ფანდების ასე სრულყოფილად დაუფლებას მათ ქართული ჭიდაობისადმი დიდი სიყვარულითა და ბეჯითი ვარჯიშის შედეგად მიაღწიეს.

რაკი ქართული ჭიდაობის ფანდების ვირტუოზულ შესრულებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 1935 წელს ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ტარდებოდა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც 70-75 კილოგრამ წონით კატეგორიაში პოხრო პაპიაშვილიც მონაწილეობდა. მძიმე წონის (120 კგ) მოჭიდავემ დიმო ბითარაშვილმა აიძულა პოხრო, რომ დასჭიდებოდა (იმ წელს პირველობა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში არ ჩატარებულა). პაპიაშვილმა ზეზელა კისრულის გასაკეთებლად მოიტაცა ბითარაშვილი, წრე შემოარბენინა სარბიელზე, წონასწორობიდან გამოიყვანა, შებრუნდა, სწრაფად წამოიკიდა ზურგზე, თავდაყირა წამოიღო და ბეჭებით გააკრა ხალიჩას. ამან მაყურებლების ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ ხმაურისაგან დარბაზი აზანზარდა. პოხრომ გამარჯვებას დიდი სისწრაფისა და ფანდის შესრულების სრულყოფილად ცოდნის წყალობით მიაღწია.

თუ ჩვენში ქართული ჭიდაობის განვითარების საქმე 30-იანი წლების დასაწყისამდე თვითდინებით მიმდინარეობდა, დაახლოებით 1924-25 წლიდან ამ საქმეს ორგანიზაციული სახე მისცა ვანო წამალაშვილმა (გლდანელმა) — მან, იმ ხანებში პირველმა, ჩამოაყალიბა ქართული ჭიდაობის შემსწავლელი წრე. სავარჯიშო დარბაზად გამოიყენა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე უპატრონოდ მიტოვებული ეკლესიის შენობა. ამ სექციაში წვრთნას გადიოდნენ და ისტატდებოდნენ შ. რჩეულიშვილი, ვ. ქარუმიძე, ა. გაგნიძე, პ. კობაიძე, ქ. აღეიშვილი და მრავალი სხვანი, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც. ვანო გლდანელის გარდა იმ ხანებში ქართული ჭიდაობის შემსწავლელი წრე ჰქონდა, აგრეთვე, გიორგი კახნიაშვილს (ვერელი), სადაც სხვა მოჭიდავეებთან ერთად ქართული ჭიდაობის ტექნიკას ეუფლებოდა შემდგომში ძლიერი მოჭიდავე ნიკოლოზ პაპიაშვილი. 30-40-იან წლებში როგორც თბილისში, ისევე ქართლ-კახეთის სოფლებშიც მრავლად ჩამოყალიბდა ქართული ჭიდაობის შემსწავლელი წრეები. ხშირად იმართებოდა მომიჯნავე რაიონებისა და სოფლების ფალავანთა ამხანაგური შეხვედრები, საწვრთნელ-საჩვენებელი ჭიდაობები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში რატომღაც ძალზე შესუსტდა ყურადღება ქართული ჭიდაობის შემართ. ალბათ ამის ბრალი თუა, რომ ახლა იშვიათადღა შეხვდებით ზეზელა კისრულის მცოდნე მოჭიდავეებს, სრულიად არ იყენებენ ან ძალიან იშვიათად ხმარობენ ყველაზე ეფექტურ ფანდებს: გამოკრულ შუასარმას, მოგვერდს, მკლავურ გარეკაურს, თეძოს, მკლავჩაკეტილ ამოსმულ შუასარმას, გარესარმებს, შუაკაურებს „წინდებით", „უკუგდებით", აგრეთვე ფანდების კომბინაციებს და სხვ.

აქვე მინდა ერთი ამბავი გავიხსენო: ამას წინათ, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო შეხვედრაზე ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ვლადიმერ მარშანიამ მეტოქეს მეტად უხაკლოდ ჩაუტარა ქართული ჭიდაობის ფანდი გამოკრული შუასარმა „მარჯვენა-მარჯვენაში", რამაც მას გამარჯვება მოუტანა. აქედან გამომდინარე, ჩვენმა მოჭიდავეებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ ქართული ჭიდაობის ფანდები, ცალკეული ილეთები და მათი ხმარებისა და გამოყენების ხერხები. ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ ქართველ ფალავნებს საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე მეტი წარმატებები ექნებათ.

მ. შაოშვილი,
ქართული ჭიდაობის ვეტერანი.

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში



**არა მარტო** თავისი მილიონიანიშემოსავლითაა სახელმოხვეჭილი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უდიდესი, ლენინის სახელობის მევენახეობის მეურნეობა. მეურნეობის კოლექციაში ცნობილი ღვინოების მიერ მოპოვებული მედლების გარდა სპორტული მედალიც ბევრია. ანდა რა გასაკვირია, აქ ხომ 800-მდე მუშა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობს.

საკდესის ფოტო.

## ველოსპორტი

**მიუნხენში**, ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრდა მსოფლიო პირველობა. ქალთა შორის 3 კილომეტრზე მოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში იმარჯვეს ჰოლანდიელებმა კ. ვან ოსტენ-ჰაგემ და ე. რემეროშ, რომლებმაც ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი ერგო კანადელ კ. სტრონგს.

ბოლო ჯილდოები საშუალედო ფინიშებით 175 წრეზე რბოლ... გაიმართა. პირველობა მოიგო ბ... გიელმა ბ. დე/ იონკჰერმა. ლენ... გრადელი ვ. ოსოკინი V ადგილ... ...რიგშია მსოფლ... პირველობა, საგზაო ველ... ...ჩატარდება ...ების გუნდური შეჯიბრება და ...ლების ჯგუფური ასპარეზობა (... აგვისტო), ხოლო 26 აგვისტოს ... ურბურგრინგის მიდამოებში გა... მამდება მედლები ჯგუფურ ტ... ნირში.

## ცურვა

**დასავლეთ** ბერლინში მიმდინარე მსოფლიოს III ჩემპიონატში საბჭოთა მოცურავეებმა 4 საკავშირო რეკორდი დაამყარეს და 3 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, თანაც ისეთ სახეობებში, რომლებშიც წინათ არასდროს მოუხვეჭიათ ჯილდოები. ეს სახეობებია ვაჟთა 100 მეტრზე გულაღმა და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა და ქალთა კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მეტრზე.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფორესტერი (აშშ) — 1.51,02, ვერცხლის მედალი ფორესტერის თანამემამულე გაინეს ხვდა წილად — 1.51,10. „ბრინჯაო" მოიხვეჭა ლენინგრადელმა, 19 წლის კოპლიაკოვმა — 1.51,33, ფინალში მონაწილეობდა მეორე ლენინგრადელი კრილოვიც, მაგრამ იგი ფინიშზე მეექვსე იყო.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში კვარცხლბეკის ზედა ორ საფეხურზე კვლავ ამერიკელები ავიდნენ — ჯექსონი (56,36) და როკა (56,69). მესამე ადგილი სსრ კავშირის ახალი რეკორდით დაიკავა, 17 წლის ლენინგრადელმა სპორტსმენმა კუზნეცოვმა — 57,41.

ქალთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 4.08,21. მეორე ადგილზე გავიდნენ გდრ-ის მოცურავეები — 4.09,13. საბჭოთა მოცურავეებმა (კრუგლოვა, ბოგ... ნოვა, აქსიონოვა, ცარიოვა) ბრ... ჯაოს მედლები მოიხვეჭეს და ს... კავშირის ახალი რეკორდიც და... ყარეს — 4.14,91.

ქალთა კომპლექსურ ცურვ... 200 მეტრზე ყველას აჯობა ამე... კელმა კოლკინსმა — 2.14,07 (მ... ფლიო რეკორდი). მართალია, მ... კოველი მოსწავლე 16 წლის ... ვაკინა პრიხოდკობს (IV ადგ... მილმა დარჩა, მაგრამ მისი შე... გი (2.17,60) სსრ კავშირის რეკ... დია.

100 მეტრზე ბრასით ცურ... ჩემპიონი გახდა დასავლეთგერმ... ლი სპორტსმენი კუში — 1.03... საბჭოთა მოცურავეებმა ფედო... ვსკიმ და მისკაროვმა შესაბამ... IX და X ადგილები დაიკავეს.

## წყალბურთი

წყალბურთელთა გუნდების ... პარეზობაში საბჭოთა სპორტს... ნებმა დაამარცხეს ავსტრალიელ... — 7:3 და შესარჩევი შეჯიბრე... ბოლო მატჩის შედეგის მიუხე... ვად ნახევარფინალში მონაწილე... ბის უფლება გაინაღდეს. საბჭო... გუნდთან ერთად ნახევარფინალ... საგზური მოიპოვეს იტალიისა ... რუმინეთის გუნდებმა. მეორე ... ხევარფინალში გავიდნენ უნგ... თის, გფრ-ისა და იუგოსლავ... წყალბურთელები.

შეჯიბრება გრძელდება.

## თანამედროვე ხუთჭიდი

**შვეციის** ქალაქ იონჩოპინგში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში.

ასპარეზობა ცხენოსნობაში მოიგო ავსტრიელმა ლიდერერმა — 1092 ქულა. მეორე იყო ფრანგი ფური (1090), ხოლო მესამე — გლენესკი (აშშ) — 1088. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ლედნიოვმა და პოლონელმა პეჩაკმა IV-V ადგილები გაიყვეს (1084). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ამერიკელებმა (3210).

ფარიკაობაში ყველას აჯობა ... ხოსლოვაკიელმა ადამმა — 10... ქულა. საბჭოთა სპორტსმენი ბ... გაკოვი და უნგრელი სომბატ... II-III ადგილებს იყოფენ (10... ლედნიოვი IV იყო (1019). გუნ... რი შეჯიბრება მოიგეს უნგრე... მა — 2924 ქულა. საბჭოთა სპო... სმენები II ადგილზე იყვნენ ... 2905.

ორი სახეობის შემდეგ ლი... ურდა ადამი — 2131 ქულა. II ... გილზეა ლედნიოვი — 2103, ... — პეჩაკი (2074). გუნდურ ჩა... ლაში — პოლონეთი — (579... აშშ — (5754), გფრ — (5734), ... კავშირი — (5707).

**ჰელსინკის** მახლობლად გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის მე-11 ეტაპის შეჯიბრება. კვლავ წარმატებით გამოვიდა 250 კბ სმ-ს მანქანებით რბოლაში პირველობის ლიდერი, ლენინგრადელი გ. მოისეევი, რომელიც ბოლო ეტაპის წინ (იგი 27 აგვისტოს ლენინგრადში ჩატარდება) უახლოეს მეტოქეს ჰ. მაიშს (გფრ) 29 ქულით

## მოტოსპორტი

ასწრებს. კიეველმა ვ. კავინოვ... III ადგილზე გადაინაცვლა.

უკანასკნელი ეტაპის წინ მო... ეევს 166 ქულა აქვს. კავინოვი ... იშთან 6 ქულას აგებს.

## სახალხო დღესასწაულს მიეძღვნა

**როგორც** ამასწინათ ვიუწყებოდით, დუშეთის რაიონის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს დუშეთის მახრის გლეხთა აჯანყების 60 წლისთავი. სახალხო დღესასწაულის პროგრამაში შედიოდა სარაიონო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც თერთმეტი ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი მონაწილეობ...

ფინალში ერთმანეთს შეხვ... მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეო... და ბაზალეთის კოლმეურნეო... ფეხბურთელები. მჭადიჯვრელე... დაამარცხეს მეტოქე და საპ... პრიზს დაეუფლნენ.

ზ. სიანაი...

## საქართველოს სპორტკომიტეტში

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზკულტურისა ... სპორტის დამსახურებული მო... წე გ. მეყანწიშვილი საქართვე... სპორტკომიტეტმა სიგელით და... ლდოვა.

# სპორტული ცხინვალი

**ცხინვალის** სპორტულ ბაზებზე რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გაიმართა. მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე ქ. ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების 50-მდე ფიზკულტურელი ასპარეზობდა. ყველას აჯობეს ჯაველებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ლენინგორისა და ცხინვალის რაიონის სპორტსმენები. მასპინძლებმა, ქ. ცხინვალის ნიშნოსნებმა ვერცერთი ქულა ვერ მიიღეს და ბოლო ადგილზე დარჩნენ.

**ლენინგორისა** და ცხინვალის რაიონების ქართული სტილის მოჭიდავეთა შეხვედრაში სტუმრებმა იმარჯვეს — 5:3.

**დამთავრდა** სამხრეთ ოსეთის საოლქო თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ცხინვალის „დინამომ" მოუგო ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის ფეხბურთელებს. ძირითადი დრო ფრედ — (0:0) დამთავრდა. პენალტების სერიამ წარმატება „დინამოს" მოუტანა — 5:4.

**საოლქო** და საქალაქო ბიონერული ბანაკების ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობა მშდ მრავალჭიდში ბანაკ „მუხნარის" აღსაზრდელებმა მოიგეს.

ვ. ფელქოევი.
(ჩვენი კორ.)

# იქნება გოლები, იქნება გამარჯვებებიც

ტურის სტუმარი

დღეს ჩვენს მუდმივ რუბრიკაში ერთგვარი სასიამოვნო ცვლილებაა — სტუმართა შორის გამოჩნდა ქალი. ეს გაუთვალისწინებელი ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, რაც ადამიანი, რომლისთვისაც ინტერვიუ უნდა ჩამომერთმია, სტადიონზე მეუღლესთან ერთად მოვიდა.

მანამდე, სანამ გაგაცნობდეთ ჩვენს სტუმრებს, ამ სამიოდე დღის წინანდელ ამბავს გავიხსენებ.

არის ერთი ჭიშკარი, რომლის გავლაც არც ისე იოლია. თუმცა, იმისათვის, რომ მოხვდეთ თბილისის დინამოელთა დილმის საწვრთნელ ბაზაში, სრულებითაც არ არის საჭირო „სეზამის საიდუმლოება“ — რკინის კარები სტუმართმოყვრულად იღება ყველა იმათთვის, ვინც აქ საქმისათვის მოდის. და რადგან ასეთ ადამიანთა წრე ერთობ შეზღუდულია, ისინი, ბუნებრივია, კარგად იცნობენ ერთიმეორეს. და უცბად, ფეხბურთის მინდორთან გამოჩნდა სრულიად უცნობი კაცი, რომელსაც... ერთი ამბით შეხვდნენ ფეხბურთელები, მწვრთნელები. მღერადი აქცენტის მიხედვით, ხელად იცნობდით მასში იტალიელს. შემდეგ სხვა ფაქტებიც ირკვევა. თუმცა, სჯობს, „დინამოს“ სტადიონს დავუბრუნდეთ და თვით ცოლ-ქმარ ტრეტილებს მოვუსმინოთ.

— მე ნიკოლო მქვია, ჩემს მეუღლეს ლალი. ლალი ვაშაკიძე. ვცხოვრობთ მილანში, ახლა აქ მის ნათესავებთან ვართ სტუმრად. ამ ორ წელიწადში, სულით მაინც, სანახევროდ ქართველი გავხდი — ჯერ გავიცანი ლალი, რომელიც მოსკოვში, სსრ კავშირის სავაჭრო პალატაში თარჯიმნად მუშაობდა, შემდეგ მილანში დავესწარი „დინამოსა“ და „ინტერის“ მატჩს და ქართველ ფეხბურთელებსაც ჩემი სიყვარული ვუწილადე...

**— მშვენივრად ლაპარაკობთ რუსულად...**

— დედა რუსი მყავდა. სულ მალე ალბათ ქართულადაც ვილაპარაკებ. ყველაფერი ლალიზეა დამოკიდებული.

**— პირველად ჩამოხვედით საქართველოში?**

— არა. სამი წლის წინათ იტალიელ კომუნისტებთან ერთად მონაწილეობა მივიღე საპირველმაისო დემონსტრაციაში · რუსთაველის პროსპექტზე. ვიყავი რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც და ალბათ ცხოვრების მთელ გზაზე გამყვება თქვენს ხალხთან შეხვედრების სითბო. ჩვიდმეტი წლისა იტალიის კომუნისტური პარტიის რიგებში შევედი (სინიორ ნიკოლო პარტიას მანდატს იღებს და შესვლის თარიღს მიჩვენებს — 1944 წელი), ვმონაწილეობდი წინააღმდეგობის მოძრაობაში, ვპარტიზანობდი. ფაშისტებმა ჯერ მილანის სანტა-ვიქტორიოს ციხეში ჩამსვეს, შემდეგ მაგდებურგთან ახლოს საკონცენტრაციო ბანაკში გადამიყვანეს. აი, ეს ფოტო კი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. იცანით? პალმირო ტოლიატი, ეს კი მე ვარ. 1960 წელს იგი საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო ბაზრობას ეწვია, მე მისი გიდი ვიყავი. ახლა საავტომობილო კონცერნ „ალფა-რომეოს“ ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში ვმუშაობ, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის აქტივისტი ვარ, რომელიც ხომ მინის სახელს ატარებს.

**— თქვენი სპორტული გატაცება?**

— „ინტერნაციონალეს“ გულშემატკივარი და ამ კლუბის წევრი ვარ. ჩვენი მიკრორაიონის კომიტეტში 65 კაცია. ვიხდით საწევრო ანარიცხს, ვქმნით გუნდის ისტორიას, ვაწარმოებთ სტატისტიკას, ვთამაშობთ საფეხბურთო ტოტალიზატორს. თუ რაიმეს მოვიგებთ, არ ვიყოფთ, ყველანი ერთად გავდივართ ქალაქგარეთ. თუ თანხა საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდება, ვაჯილდოებთ განსაკუთრებით აქტიურ წევრებს.

**— წილისყრამ ქართველი ფეხბურთელები ისევ იტალიელებს შეახვედრა...**

— ჰოო, 27 სექტემბერს მე მათი გულშემატკივარი ვიქნები ნეაპოლში.

**— ხომ არ წააგავს ჩვენი გუნდი რომელიმე იტალიურ კლუბს?**

— კონკრეტულად რომ ვთქვა, „მილანს“, „იუვენტუსს“, „კალიარის“-მეთქი, არ შემიძლია, საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ძალზე ბევრია საერთო, თამაშის მანერაშიც, ხასიათშიც. ყიფიანი, გუცაევი, ძმები მაჩაიძეები, დარასელია და არა მარტო ისინი — თითქმის ყველას შეუძლია ითამაშოს იტალიის ნებისმიერ კლუბში.

**— რას იტყვის იტალიელი „ტიფოზი“ თავის თბილისელ კოლეგაზე?**

— მაყურებელი თითქოსდა კარგად გრძნობს თამაშს, მაგრამ გაუგებარია, რატომ უსტვენს, როცა გუნდი ტაქტიკურ ბრძოლას მიმართავს. გაიხსენეთ, როგორც კი ტაშკენტელები კარგავდნენ ბურთს (ეს კი ხშირად [illegible]) — [illegible] მაშინვე [illegible] ვარზე [illegible] ძნელად გასავლელ ეშელონს ქმნიდნენ, რომელსაც ვერც გადაახტები და ვერც გადააფრინდები. ერთადერთი გამოსავალი მეტოქის გამოტყუებაა. სწორედ ამ ტაქტიკურ ხერხს მიმართავდნენ თბილისელებიც, მაყურებელი კი უსტვენდა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, გუნდსაც ძალზე უშლის ხელს.

**— თქვენც საკმაოდ აქტიურად ადევნებდით თვალს მინდორზე დატრიალებულ ამბებს.**

— იმიტომ, რომ თამაში მართლაც ლამაზი იყო. უამრავი მწვავე სიტუაცია, საგოლე მომენტები... მიუხედავად სამი გატანილი გოლისა, დინამოელთა მიმართ ერთი შენიშვნა მაინც მინდა გამოვთქვა: ასპროცენტიანი შესაძლებლობები უნდა გამოიყენონ კიდეც ასი პროცენტით. ევროპულ საკლუბო ტურნირებში ხომ, ისე როგორც არსად, ფასობს თითოეული გოლი. იქნება გოლები, იქნება გამარჯვებებიც. ჩვენ, მილანელ ნიკოლო და ლალი ტრეტილებს გვჯერა ამისი.

საუბარი ჩაიწერა
**თ. სულხანიშვილმა.**

---

**ფეხბურთი**

# პირველ საშუალედო ფინიშზე

**ჯგუფურმა** ტურნირებმა ბევრ საიდუმლოებას ახადა ფარდა. და ვინაიდან დასამალი უკვე არავის არაფერი ჰქონდა, თამამად დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ ვის როგორი შანსი აქვს მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში.

მსოფლიო ჩემპიონს ლიდერთა შორის აღარავინ ასახელებდა. ორმა უფერულმა ფრემ მას საბოლოოდ შეურყია ავტორიტეტი და ექსპერტები ერთხელ კიდევ დაარწმუნა იმაში, რომ გფრ-ის გუნდი ამჯერად რეალურ ძალას არ წარმოადგენდა. შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მექსიკასთან დიდი ანგარიშით გამარჯვებამაც. ჩემპიონი ხელადებით ამორიცხეს ფავორიტთა სიიდან.

მაგრამ სიურპრიზები ამით როდი დამთავრდა. მოულოდნელი აღმოჩნდა ბრაზილიელთა მშვიდობიანი განწყობილება სტარტზე. ორი ფრე და ერთი ვაი-ვაგლახით მოგებული მატჩი ავსტრიასთან — ასეთი სუსტი და უინიციატივო თავდასხმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს არასდროს ყოლია.

ჰოლანდიამ მოულოდნელად წააგო ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრა შოტლანდიასთან და პირველი ადგილი დაუთმო პერუს, რომელიც მანამდე მსოფლიოს უძლიერესი გუნდების ელიტაში არ ფიგურირებდა. ესეც თავისებური სიურპრიზი იყო, რამაც საბოლოოდ აურია გზაკვალი ექსპერტებს.

ერთადერთი გუნდი, რომელიც შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებდა თამაშს და დამაჯერებლად მიიკვლევდა გზას მთავარი ბრძოლებისაკენ, იტალიის ნაკრები იყო. იტალიელებმა სამივე თამაში მოიგეს ჯგუფში, მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ის, რომ სამივე მატჩში საკმაოდ მაღალი დონის, შემტევი ფეხბურთი აჩვენეს. იტალიელებმა „რივერ-პლეიტზე“ თამაშის უფლება წაართვეს მასპინძლებს და რაც მთავარია, ცივი წყალი გადაასხეს მენოტის გეგმებს. ეს გუნდი ფინალური ტურნირის სხვა თხუთმეტ მონაწილეს შორის ყველაზე თანაბარი მოჩანდა.

მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველაფერი ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 11 ივნისისთვის, როცა დამთავრდა პირველი ეტაპის ბოლო მატჩი და შესაძლებელი გახდა სულის მოთქმა ამდენი მოულოდნელობის შემდეგ. მანამდე კი ერთი სიურპრიზი მეორეს ცვლიდა და მსოფლიო ჩემპიონატიც რაღაც, მრავალუცნობიან ამოცანას დაემსგავსა, რომელსაც თითქოს არც კი ჰქონდა ამოხსნა.

პირველი მატჩი აშკარად არ გამოვიდა. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით.

სამაგიეროდ მეორე მატჩი ულამაზესი გოლით დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, მარ-დელ-პლატას რეკონსტრუირებულ სტადიონზე შეკრებილ ათობით ათას მაყურებელს აშკარად გაუღიმა ბედმა. ასეთი გოლი საკუთარი თვალით უნდა ნახო: სიქსი შეუფერხებლად გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და ბურთი იტალიელთა კარის სიახლოვეს დაკიდა. აქ მას სხვებზე ადრე მიუსწრო ლაკომბმა და ულამაზესი თავური დარტყმით ბურთი ძოფის კარის ბადეში გახვია. ეს მართლაც უნაკლოდ შესრულებული კომბინაცია იყო, მაგრამ იტალიელები ასეთმა დასაწყისმა არ დააბნია. 27-ე წუთზე „სკუადრა აძურამ“ აღადგინა წონასწორობა, მეორე ტაიმში კი კიდევ ერთი, ამჯერად უკვე გამარჯვების გოლი გაიტანა.

ზუსტად სამი საათის შემდეგ როსარიო პირველი სენსაციის მოწმე გახდა. ტუნისმა, რომელიც აქამდე არავითარ ძალას არ წარმოადგენდა მსოფლიო ფეხბურთში, სოლიდური ანგარიშით დაამარცხა მექსიკის გამოცდილი ნაკრები (3:1). ამ მატჩშიც პირველი გოლი გაიტანა გუნდმა, რომელმაც მერე უკვე თავჩაქინდრულმა დატოვა მოედანი.

პოლონელებს ამ ცნობამ გზაში მიუსწრო. ისინი ბუენოს აირესიდან როსარიოში მიფრინავდნენ.

— ჩვენს ჯგუფში თურმე არ ყოფილა აუტსაიდერი, — თქვა გაკვირვებულმა გმოხმა, როცა ამ მატჩის შედეგი შეიტყო.

იმავე დღეს 19 საათსა და 15 წუთზე „რივერ-პლეიტზე“ არგენტინა-უნგრეთის მატჩი დაიწყო. და ისევ საბედისწერო დამთხვევა: პირველი გოლი გაიტანა უნგრეთმა, თამაში კი არგენტინამ მოიგო.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს მარ-დელ-პლატაში რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ჩაუყვა. ქალაქის ქუჩებში დილიდანვე დაიწყო ტრადიციული ბრაზილიური ზეიმი. ენით აუწერელი ღრიანცელი, საყვირებისა და სატკაცუნებლების გამუდმებული გუგუნი, რომელსაც, როგორც წესი, თან ახლდა შეძახილები „ბრაზილ“, „ბრაზილ“, მატჩის ბოლომდე არ შეწყვეტილა. ყვითლად შეფერადებული სტადიონი, თითქმის ჰკუაზე გადასული, მთელი გულითა და სულით უჭერდა მხარს თავის გუნდს, რომელსაც არ გამოსდიოდა თამაში.

შვედები უხერხული მეტოქეები აღმოჩნდნენ. მერე კი, როცა გოლიც გაიტანეს და მთლიანად დაეუფლნენ ინიციატივას, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ფრე გაუხდა სანატრელი. ამ დღეს მხოლოდ მეკარეებს სწყალობდათ ბედი — ლეაომ და ჰელსტრომმა საიმედო თამაში აჩვენეს. ბრაზილიელებმა მაინც მოახერხეს[illegible] ბურთის გატანა, თუმცა უქსელმა მსაჯმა ჩათვალა მხოლოდ ერთი. მეორე გოლი თომასის წამზომის მიხედვით თამაშის 91-ე წუთზე გავიდა, როცა დრო უკვე ამოწურული იყო. ორივე კაპიტანმა დაადასტურა მსაჯის სისწორე.

მატჩის შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა შვეციის გუნდის ვეტერანს ბიორნ ნორდკვისტს ვეებერთელა ტორტი აჩუქეს. ასე აღინიშნა ვეტერანის 109-ე მატჩი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ასე დაეცა ინგლისელი ბობი მურის მსოფლიო რეკორდი (108 მატჩი).

ნორდკვისტმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს.

— ბედნიერი ვარ, რომ ასე გულმხურვალედ აღნიშნეთ ჩემი დამსახურება ნაკრების წინაშე. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დღეს კარგი თამაში ვაჩვენეთ. მატჩის მოგება შეგვეძლო, მაგრამ ლეაოს აშკარად სწყალობდა ბედი.

ბრაზილიელებმა უხასიათოდ დატოვეს სტადიონი. პირველი მატჩისაგან ისინი მეტს მოელოდნენ. კუტინიო პრეს-კონფერენციაზე არც კი მისულა. ჟურნალისტებთან საუბარი მან მეორე მწვრთნელს გადააბარა, ან კი რა ჰქონდა სათქმელი?

არ შედგა გამარჯვების ტრადიციული კარნავალიც.

არ შემდგარა იგი არც 7 ივნისს, ესპანელებთან შეხვედრის შემდეგ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ამჯერადაც ძლივს დააღწია თავი მარცხს. ბრაზილიაში მღელვარება დაიწყო და როგორც ყოველთვის, პირველი იერიში გულშემატკივრებმა მწვრთნელზე მიიტანეს. სან-პაულოსა და რიო-დე-ჟანეიროში საჯაროდ დაწვეს კუტინიოს ორმეტრიანი ფიტულები. ეს შურისძიების ტრადიციული ფორმაა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გადაიზარდოს უფრო აგრესიულ გამოხდომაში. პრესამ მოითხოვა მწვრთნელის დაუყოვნებელი გადადგომა. ვიღაც თავშეუკავებელმა გულშემატკივარმა მარ-დელ-პლატაში კუტინიოს ნომრის ფანჯრები ჩაამტვრია. პოლიცია შეშფოთდა. მან დამხმარე ძალები მოითხოვა გუნდისა და მწვრთნელის დასაცავად. სკანდალი ნელ-ნელა ღვივდებოდა და რომ როგორმე დაეცხრო აფორიაქებული ვნებათა ღელვანი, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ რამდენიმე მრჩეველი აფრინა არგენტინაში.

კუტინიოს ძალაუფლება დაემხო, თუმცა მთავარი მწვრთნელის პოსტი კვლავინდებურად მას დარჩა. მაგრამ ახლა უკვე ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო სპეციალურ საბჭოს ხმების უბრალო უმრავლესობით.

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩის წინ ბრაზილიას არ დარჩა არჩევანი. მას უსათუოდ უნდა მოეგო ავსტრიისათვის, რათა ჩემპიონატის შემდგომ ეტაპში თამაშის უფლება მიეღო. სხვაგვარად გუნდს არ ჩაესვლებოდა სამშობლოში. აი სანამდე მიიყვანა ნაკრები კუტინიოს სიბრძნემ და თეორიებმა, — წერდნენ გაზეთები და არც მალავდნენ, რომ ქვეყანაში პანიკა იყო გამეფებული.

11 ივნისს რობერტომ ბოლოს და ბოლოს გაიტანა თავისი გოლი. ბრაზილიაში შვებით ამოისუნთქეს. ანგარიშს ყურადღებას ვინღა აქცევდა. მთავარი იყო ის, რომ პროგრამა მინიმუმი შესრულდა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გავიდა გათამაშების შემდგომ ეტაპში.

ესეც ავსტრია, გუშინდელი აუტსაიდერი. დღეს იგი ლიდერია III ჯგუფში და რა თქმა უნდა, გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებს ნახევარფინალური ჯგუფების დაკომპლექტების დროს. ადგილი, რომელსაც ბრაზილია უმიზნებდა, უმტკივნეულოდ მიიღო ავსტრიამ.

კუტინიოს მხოლოდ ერთი გამართლება ჰქონდა, თუ კი ვინმე მიიღებდა ამას სერიოზულად — არც სხვა ფავორიტებს ადგათ მხიარული დღე, ესე იგი ჩემპიონატის საერთო ტენდენცია ყოფილა ასეთი. მაგრამ წამოეგება კი ვინმე ასეთ ანკესზე ბრაზილიაში? ასეთი არგუმენტით ადვილად შეიძლება დაამშვიდო ან თუნდაც მოატყუო ევროპელი გულშემატკივარი. რიოსა და სან-პაულუში კი თავისი გუნდისგან მხოლოდ ლამაზ ფეხბურთს, გოლებსა და გამარჯვებას მოითხოვენ. და თუ არ მოხდა ეს — მწვრთნელი ყოფილა უვარგისი, თორემ ბრაზილიაში რა გამოლევს მაღალი კლასის ფეხბურთელებს?

ბრაზილიელი გულშემატკივარი გრძნობდა თავის სიმართლეს და ამიტომ ბოღმა აღრჩობდა. მაგრამ იგი მაინც მოთმინებით ელოდა მოვლენების განვითარებას, რათა მერე უკვე ამოეფრქვია თავისი რისხვა.

ამასობაში კარგა მაგრა აირია საქმეები მეოთხე ჯგუფშიც. ჰოლანდიამ მძიმე ბრძოლა დათმო შოტლანდიასთან, პერუმ კი იოლად დაამარცხა ირანი და მთელი ორი ქულით გაუსწრო ვიცე-ჩემპიონს.

საერთოდ ჰოლანდიელებს რაღაც განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ფეხბურთისადმი. წესრიგითა და რკინის დისციპლინით ამ ქვეყნის მოთამაშეები არასდროს გამოირჩეოდნენ. უფრო მეტიც, გადამწყვეტი მატჩების წინ ნაკრებში, როგორც წესი, იწყება გაუთავებელი კინკლაობა, რომელიც ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებში გადადის.

(დასასრული მე-4 გვ.)

# დ ი დ ი ფეხბურთის ზ ე ი მ ი

Argentina '78



სურათზე: რენსენბრინკი.

# გაზეთები აღნიშნავენ...

**ფილიპინების** გაზეთები ვრცლად აშუქებენ მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ-ვ. კორჩნოის მატჩის მსვლელობას. ისინი ფართოდ გამოეხმაურნენ კარპოვის გამარჯვებას XIII და XIV პარტიებში.

„XIII პარტიაში მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვება მოულოდნელი იყო პრეტენდენტის ქომაგთათვის, რადგან კორჩნოის მცირე უპირატესობა ჰქონდა", წერს „ბულეტენ ტუდეი". იგივე გაზეთი ხაზგასმით შენიშნავს, რომ „კარპოვი შესანიშნავად იცავდა თავს და მანევრირებდა". ეს გაზეთი კარპოვს თამაშს XIV პარტიაში ბრწყინვალეს უწოდებს.

XIII პარტია რომ გადაიდო, კორჩნოიმ დიდხანს იფიქრა ჩასაწერ სვლაზე. მას უნდა დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა. მეთვალყურეებმა XIV პარტიის დაწყების წინ აღნიშნეს კორჩნოის მოწყენილობა და გაღიზიანება.

ლონდონის „ტაიმსის" მიმომხილველმა ჰ. გოლომბეკმა კარპოვის მე-13 სვლის შესახებ თქვა: „ეს ნამდვილი დარტყმაა კორჩნოისთვის". პრეტენდენტმა თითქოს მიაგნო დაცვას სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში. მეორე დღეს ფილიპინების ცენტრალურმა გაზეთებმა გადადებული პარტია პრაქტიკულად საყაიმოდ გამოაცხადეს. მხოლოდ „ბულეტენ ტუდეიში" დაბეჭდეს, რომ კარპოვს მოგების დიდი შანსი აქვსო. ეს სხვაობა იმიტომ მოხდა, რომ ყველა ჟურნალისტმა მანილაში რამდენიმე წუთით ადრე გაიგო ცნობა, ვიდრე ამ გაზეთის კორესპონდენტმა. სწორედ იმ წუთებში განახორციელა კარპოვმა ხარისხის შეწირვა.

— ორი გადადებული პარტიის დაბოლოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრძოლის შემდგომი მსვლელობისთვის და შეიძლება მატჩის კულმინაციური მომენტიც გახდეს, — თქვა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, მატჩის მთავარმა ორგანიზატორმა ფ. კამპომანესმა.

მსოფლიო ჩემპიონის დაძაბულმა ანალიტიკურმა მუშაობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო: XIII პარტიის განახლებისას კორჩნოი უცნობ პოზიციაში აღმოჩნდა და ბევრი დრო მოანდომა სვლებს. კარპოვმა უშეცდომოდ და ლამაზად დალაშქრა მეტოქის მეფე.

ყოველივე ამას იტყობინება ბაგიოდან საქდესის კორესპონდენტი.

* * *

**ბაგიო, 22 აგვისტო. (საქდესი). მსოფლიო პირველობაზე კარპოვ-კორჩნოის საჭადრაკო მატჩის XV პარტია პრეტენდენტის წინადადებით 25-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.**

**ამრიგად, მატჩის ანგარიშია კვლავ 3:1 კარპოვის სასარგებლოდ. მორიგი, XVI პარტია დანიშნულია 24 აგვისტოსათვის.**

## ჭადრაკი

# შეხვედრები ბულგარელ თანატოლებთან

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჭადრაკის მესვეურთა მიწვევით ორი კვირა დაჰყო ქუთაისის პიონერ-მოჭადრაკეთა გუნდმა (ხელმძღვანელი ექიმი ნ. ხონელიძე, მწვრთნელები ზ. ბურკაძე და თ. ხარლამიდი). ნორჩმა ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა სამატჩო შეხვედრები ჩაატარეს პლოვდივის, ბურგასის და კაზანლიკის თანატოლებთან და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 44,5:11,5.

გუნდის თითოეულმა წევრმა თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. აი, მათი შედეგებიც დაფების მიხედვით (თითოეულმა მოჭადრაკემ 7 პარტია ითამაშა): **ვაჟები.** I დაფა. მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გია გიორგაძე (1-ლი სკოლა) — 6 ქულა, II. ზაზა ლომინაძე (მე-15 სკოლა) — 6,5, III. მამუკა დარსაველიძე (32-ე სკოლა) — 5,5, IV. ნიკოლოზ ჯანელიძე (მე-13 სკოლა) — 4,5, V. ვახტანგ კოხია (31-ე სკოლა) — 4. **გოგონები.** I. ირმა აბზიანიძე (მე-9 სკოლა) — 5, II. ინგა ესებუა (მე-15 სკოლა) — 7, III. მაკა ბუხრაშვილი (31-ე სკოლა) — 6.

ოქტომბერში ქუთაისში ჩამოვა ბულგარელ პიონერ-მოჭადრაკეთა ნაკრები რამდენიმე მატჩის სათამაშოდ.

**ჭ. გომელაური.**

### ხუთი ტურის შემდეგ...

ესპანეთის ქალაქ მონტილიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში V ტური შედგა. ლიდერებმა ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ხ. ბელონმა (ესპანეთი) სძლიეს შესაბამისად მაილსს (ინგლისი) და ვიზიერს (ესპანეთი) და 4-4 ქულით განაგრძობენ წინსვლას. ბ. სპასკის შეხვედრა დიდოსტატ ვ. ჩოკილტიასთან (რუმინეთი) ყაიმით დამთავრდა.

## კალათბურთი

**ესპანეთის** ქალაქ კუენკაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გოგონათა გუნდებს შორის საბჭოთა სპორტსმენებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს თავიანთი ძირითადი მეტოქეები — იტალიელი თანატოლები — 86:76 და 12 ქულით ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ.

**იუგოსლავიის** ქალაქ პორეჩში ამ ქვეყნის ნაკრების კალათბურთელებმა მოუგეს აშშ-ს აღმოსავლეთის სანაპიროს უნივერსიტეტების ნაკრებ გუნდს — 123:113 (61:47). მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო დალიპაგიჩი — 43 ქულა. სტუმრებს შორის თავი გამოიჩინა აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა ბრუკსმა — 37 ქულა. ევროპის ჩემპიონები — იუგოსლაველი კალათბურთელები მანილის მსოფლიო ჩემპიონატის (ოქტომბრის პირველი ნახევარი) დაწყებამდე კიდევ ექვს საერთაშორისო მატჩს გამართავენ, მათ შორის აშშ-სა და პოლონეთის გუნდებთან.

### იალია ჯგუფი ანაპურნაზე

**როგორც** საზღვარგარეთის სააგენტოები იუწყებიან, აშშ-ის 10 მთასვლელ ქალს, რომელთა მეგზური შერპი ქალი იქნება, გადაწყვეტილი აქვს სექტემბერში ნეპალის ჰიმალაებში ანაპურნაზე (8078 მ) ასვლა.

## ალპინიზმი

ექსპედიციის შემადგენლობაში არიან 20-დან 50-მდე წლის ასაკის მთამსვლელები.

ამ მწვერვალმა უკვე მოუტანა წარმატება იაპონიის, ჩინეთისა და პოლონეთის „ქალთა ექსპედიციებს". (საქდესი).

### დასასრული

ასე იყო ევროპის ჩემპიონატში. იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან შეხვედრის წინ კრუიფსა და მაშინდელ მწვრთნელს შორის სერიოზულმა კონფლიქტმა იჩინა თავი შემადგენლობის თაობაზე. კრუიფი მოითხოვდა იონგბოადისა და ვან ჰანეგემის თამაშს. მწვრთნელი კატეგორიულ უარზე იყო. ბოლოს კამათი იმით დასრულდა, რომ ჰოლანდიამ წააგო ნახევარფინალი ჩეხოსლოვაკიელებთან და ბრძოლას გამოეთიშა.

აი კიდევ ერთი მაგალითი ჰოლანდიელთა უთავბოლობისა. არგენტინაში გამგზავრების წინ, ნაკრების პირველ შეკრებაზე 26 ფეხბურთელიდან არ გამოცხადდა თექვსმეტი. არ გამოცხადდა შეკრებაზე ნაკრების უფროსი მწვრთნელი ერნსტ ჰაპელიც, წარმოშობით ავსტრიელი, რომელიც დიდხანს თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ბურჯი იყო და თან შეთავსებით ბელგიის კლუბს „ბრიუგესაც" ავარჯიშებდა.

ჰაპელის თანაშემწემ ამ ფაქტს მოკლე კომენტარი გაუკეთა:

— სამწუხაროა, მაგრამ ნაცნობი სურათია. ჰოლანდიელ ფეხბურთელებს არც ამჯერად აწუხებთ თავიანთი მოვალეობა. ისინი მუდამ ინდივიდუალისტები იყვნენ. ასეთები არიან დღესაც და ვშიშობ, რომ ამას უნდა შევურიგდეთ.

შვარტკრუისს შეკრების გადატანა უნდოდა ერთი კვირით, მაგრამ ახლა მას არ დაეთანხმა „აიაქსის" კაპიტანი კროლი. დაიწყო სამზადისი ძირითადი მოთამაშეების გარეშე. „ეინდჰოვენის" ექვსი ფეხბურთელი უეფა-ს თასის ფინალით იყო დაკავებული. ამავე მიზეზით არ ჩამოვიდა ნაკრების ბაზაზე რეპი (იგი „ბასტიაში" თამაშობდა). „აზ-67"-ის ფეხბურთელები ისვენებდნენ ჰოლანდიის თასის ფინალის შემდეგ. „ანდერლეხტის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ შეკრება ძალზე ადრე დაიწყო და ამ გუნდის წევრები მოგვიანებით განთავისუფლდებოდნენ. ნეესკენსმა დარეკა ბარსელონიდან — მკურნალობა მჭირდება და ცოტა უნდა მადროვოთო. ჰაპელი ლონდონში იყო და იქიდან გზავნიდა ზეპირ ინსტრუქციებს, მწვრთნელი კარგად არ იცნობდა თავის გუნდს და ცდილობდა ასე მაინც დაემყარებინა მასთან კონტაქტი.

სხვათა შორის თავისი ფეხბურთელები ჰაპელმა უფრო საფუძვლიანად გაიცნო არგენტინაში. ერთმა ჰოლანდიელმა ჟურნალისტმა ჰკითხა ჰაპელს ნახევარფინალური ტურნირების შემდეგ:

— რატომ არ აყენებდით აქამდე ბრანდსსა და პორტვილს შემადგენლობაში?

— არ ვიცოდი, თუ, ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ.

— ოდნავ უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ნაკრების მწვრთნელის ასეთი განცხადება?

— ეს თქვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ჰკითხეთ.

— ვისი გამოყოფა შეიძლება ჯგუფური ტურნირების მატჩებში?

— პირველ რიგში კროლისა და რენსენბრინკის. ეს დუეტი, როგორც ყოველთვის, ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს. კარგი იყო ნეესკენსიც, თუმცა მისი მონაწილეობა ჩემპიონატში დიდხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ბარსელონაში სერიოზული ტრავმა მიიღო, მეგონა ფორმას ვერც აღიდგენდა. სამწუხაროდ, იგი მეორედ დაშავდა აქ, შოტლანდიელებთან თამაშის დროს.

ასეთი არეული სამზარეულოთი, მაგრამ ერთიანი და მტკიცე რწმენით მიიკვლევდა გზას გადამწყვეტი მატჩებისკენ ვიცე-ჩემპიონი.

ირანთან მატჩის შემდეგ არგენტინის პრესამ პირი იბრუნა ჰოლანდიისგან.

— რა თქმა უნდა ძლიერი გუნდია, განაცხადა მენოტიმ, როცა მას ჰოლანდიელთა შესაძლებლობების გაშიფრვა სთხოვეს, მაგრამ კაცმა არ იცის, როგორი განწყობილებით გამოვა დღეს მოედანზე. ასეთი კოლექტივი, დიახ, კოლექტივი და არა გუნდი, წესით ვერ უნდა

# პირველ საშუალედო ფინიშზე

გახდეს ჩემპიონი. თუმცა დარჩენილ დროში თუ შეძლო ჰაპელმა კოლექტივის შეკვრა, იგი უდიდესი ძალა იქნება.

ვიცე-ჩემპიონს მართალია არ გასჭირვებია ირანის გუნდის დამარცხება, მაგრამ სამი გოლიდან ორი მან პენალტით გაიტანა. პენალტი კი მაყურებელზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ჰაპელმა პრეს-კონფერენციაზე დაუფარავად თქვა:

— ამ თამაშმა, ვფიქრობ, სიამოვნება ვერ მოგანიჭათ. ძნელია სუსტი გუნდის წინააღმდეგ მთელი მონდომებით თამაში. ჩვენს გუნდს ეს არც ძალუძს. ღირსეულ მეტოქეებთან ალბათ უკეთეს თამაშს ვაჩვენებთ. ყოველ შემთხვევაში მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ფინალში მონაწილეობა.

— ვინ უნდა იყოს, თქვენის აზრით, ფინალის მეორე მონაწილე?

— უსათუოდ არგენტინა, შესაძლებელია ბრაზილიაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იქნება იტალია. იგი უკვე სულს ლაფავს.

ეს მართლაც საოცარი წინასწარმეტყველება იყო. პრესას ჯგუფური ტურნირების დროს ცუდი არაფერი დასცდენია იტალიაზე. უნგრეთთან გამარჯვებამ „სკუადრა აძურა" ოქროს მედლების მთავარ ფავორიტად აქცია. აი ჰაპელმა კი რაღაც სისუსტეები შენიშნა იტალიელთა თამაშში.

რა იყო იტალიის ნაკრების მთავარი იარაღი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე? არაფერი განსაკუთრებული. გუნდი თამაშობდა თანამედროვე, შემტევ ფეხბურთს და ამ შეტევებში, როგორც წესი, ფეხბურთელთა მაქსიმალური რაოდენობა მონაწილეობდა. ფეხბურთში ახლა უკვე ხმარებიდან გადის „მასირებული დაცვა". რაც შორს მივდივართ, თვით იტალია, ერთი-ორი წლის წინ ასეთი დაცვის თავგამოდებული მომხრე იყო. ახლა კი სწორედ მას ჰქონდა ყველაზე მეტად გამოკვეთილი „მასირებული თავდასხმა". და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბეარზოტს არც ერთ პრინციპულ მატჩში უარი არ უთქვია ამ ახალ სტილზე.

სხვა საქმეა ის, რაც ჰაპელმა შენიშნა. იტალიელებს მართლაც არ ეყოთ ბოლომდე ძალა და ენერგია. მათი სპორტული ფორმის მწვერვალი ჯგუფური ტურნირების დამთავრებას დაემთხვა.

ჯგუფური ტურნირების შემდეგ რვა დამარცხებულმა გუნდმა დატოვა არგენტინა. ბუენოს აირესის აეროპორტში ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს რამდენიმე მწვრთნელს. ენაწყლიანობით ისინი, ცხადია არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ თავი რაინდულად ეჭირათ.

ლაიოშ ბაროტი (უნგრეთი): ეს ჩემი ბოლო ჩემპიონატი იყო და ვწუხვარ, რომ ასე უსახელოდ დავამთავრე კარიერა ფეხბურთში. გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ეს არ არის ჩემი გადადგომის მიზეზი. უბრალოდ მოვიქანცე, დავიღალე. ახლა ახალგაზრდებმა უნდა სცადონ ბედი, მე კი მათ ყოველთვის ხალისით დავეხმარები.

გეორგ ერიქსონი (შვეცია): ევროპის ფეხბურთელთა ტექნიკა ისეთივე მაღალია და დახვეწილი, როგორც სამხრეთამერიკელებისა. განსხვავება მხოლოდ ერთშია — ევროპელი ფეხბურთს რაციონალური პოზიციიდან უდგება, სამხრეთამერიკელი კი უფრო რომანტიკოსია. ვინ გაიმარჯვებს ფინალში? ის, ვისაც ბედი უფრო მეტად გაუღიმებს.

ლადისლაო კუბილა (ესპანეთი): მთავარი მატჩები ჯერ წინაა. პირველ ეტაპზე ყველა გუნდი ფრთხილად თამაშობდა და სწორედ ამიტომ ნაკლებად იყო ლამაზი ფეხბურთი. არგენტინასა და ბრაზილიას დიდი შანსები აქვთ, მაგრამ შესაძლოა ყველას ჰოლანდიამ აჯობოს, თუ მას ადრინდელი შთაგონება დაუბრუნდა. იტალიამ უკვე თქვა თავისი სიტყვა ახალ ფეხბურთში. არ მგონია, რომ ის ამაზე უფრო შორს წავიდეს. ფინალში თამაშს გამოცდილება სჭირდება. ეს კი ბრაზილიას და ჰოლანდიას თავზე საყრელი აქვთ. არ გამიკვირდება თუ ჩემპიონი არგენტინა გახდება. მას ზურგს უმაგრებს 25 მილიონი გულშემატკივრის ომახიანი შეძახილი და მოვალეობის გრძნობა ქვეყნის წინაშე...

არგენტინის დედაქალაქი ბოლო დელეგაციამ 14 ივნისს დატოვა. დარჩა მხოლოდ რვა გუნდი, რვა ღირსეული და დიდი ფეხბურთის ათი, მოლოდინით აღსავსე დღე.

**ნ. ბუხუშვილი.**

## ფეხბურთი

### მეორე ლიგა

**21 აგვისტოს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

„ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:1, „არაზი" (ნახიჩევანი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 4:3, „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბათუმი) 3:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:2, „დინამო" (სოხუმი) — „დილა" (გორი) 1:1, „ავტომობილისტი" (ბაქო) — „გასტელო" (უფა) 4:2, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0, „გაზოვიკი" (ორენბურგი) — „ტორპედო" (ტოლიატი) 2:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „ზვეზდა" (პერმი) 3:3, „დინამო" (კიროვი) — „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) 2:3 „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) — „რუბინი" (ყაზანი) 1:4.

# ეუსებიოს მეათასე გოლი

**ნიუ-იორკი**, 21 აგვისტო. ცნობილმა ფეხბურთელმა ეუსებიომ, რომელიც ახლა ჩრდილოეთ ამერიკის ლიგის კლუბ „ნიუ ჯერსიში" თამაშობს, თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე გაიტანა მეათასე გოლი. ეს ბურთი მან გაგზავნა „ინდიანაპოლისის" კარში, თუმცა „ნიუ ჯერსიმ" ამ მატჩში მარცხი განიცადა — 2:3.

ეუსებიო მეორე ფეხბურთელია პელეს შემდეგ, რომელმაც 1000-გოლიან ზღვარს მიაღწია.

# ისევ დოპინგის შესახებ

იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც არგენტინაში მოხდა შოტლანდიელი ფეხბურთელის ჯონსტონის მიერ აღმგზნები საშუალების მიღების გამო, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა გააძლიეროს ანტისადოპინგო კონტროლი. იგი განსაკუთრებით მკაცრი იქნება დიდი ბრიტანეთის 4 ნაკრების (ინგლისის, შოტლანდიის, ჩრ. ირლანდიისა და უელსის გუნდები) ტრადიციული ტურნირის დროს. შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ასევე გამოეხმაურა „დოპინგის სკანდალს". გარდა ჯონსტონისა, პირველ ნაკრებ გუნდში თამაშის უფლება ჩამოერთვა მესონსაც, რომელიც ასევე შემჩნეული აღმგზნებ საშუალებათა მიღებაში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10153